სამუშაო სივრცის მოწყობა რამდენად ახდენს გავლენას თანამშრომლის მუშაობის ხარისხსა და მოტივაციაზე საქართველოში

ლანა თოდუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანნა თანდილაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

ლანა თოდუა

17.06.2024

აბსტრაქტი

ნაშრომში შეფასებულია სამუშაო სივრცის გავლენა თანამშრომლის მუშაობის ხარისხსა და მოტივაციაზე. სამუშაო სივრცის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალური საკითხია მთელ მსოფლიოში. საერთაშორისო გამოწვევები საკითხის ირგვლივ ქართულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებზეც ვრცელდება. კვლევის მიზანს ნაშრომის მიხედვით წარმოადგენდა განსაზღვრულიყო კონკრეტულად რა ფაქტორები მოქმედებენ ქართველ დასაქმებულებზე სამუშაო სივრცეში მათი პროდუქტიულობის მაქსიმალურად გამოსავლენად. საკვლევ საკითხებად გაერთიანდა შემდეგი თემები: ოფისის დაგეგმარების ტიპები ორგანიზაციებში; ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ დასაქმებულის შესრულების ხარისხზე სამუშაო სივრცეში; ოფისის მოწყობით გამოწვეული სტრესი თანამშრომლისთვის მუშაობის პროცესში, რომელთა გარშემო დასკვნები გაკეთდა სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის საფუძველზე და მოხდა საქართველოს მაგალითზე არსებული მიდგომების შესწავლა და ანალიზი.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად შერჩეულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, ანკეტირებული გამოკითხვის ტექნიკა. კვლევაში მონაწილე პირები არჩეულ იქნენ საქართველოს საფინანსო ბაზარზე მოქმედი კომპანიების თანამშრომლებიდან, რომელთა მუშაობაზე გავლენას ახდენს სამუშაო სივრცის მოწყობა.

კვლევის შედეგებით დადასტურდა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სამუშაო სივრცის მოწყობა გავლენას ახდენს თანამშრომლის მუშაობის ხარისხსა და მოტივაციაზე. კვლევაში მონაწილე პირებმა აღწერეს ყველა ის ფაქტორი, რაც ზემოქმედებს მათ სამუშაო პროცესზე და აფერხებს ყოველდღიურ საქმიანობას.

მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები, რაც ქართულ კომპანიებს განუსაზღვრავს საკითხებს, რითაც შესაძლებელი გახდება მაქსიმალურად აღმოიფხვრას შემდგომში მსგავსი პრობლემები ორგანიზაციაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამუშაო სივრცე, მოტივაცია, სამუშაოს შესრულების ხარისხი.

Abstract

The paper evaluates the impact of the workspace on the quality of the employee's work and motivation. The importance of workspace and related issues is a topical all over the world. International challenges surrounding the issue also apply to companies operating on the Georgian market. According to the paper, the purpose of the research was to determine what factors affects Georgian employees from maximizing their productivity in the workplace. The following topics were combined as research issues: types of office planning in organizations; factors affecting the quality of employee performance in the workplace; The stress caused by the arrangement of the office for the employee during the work process, around which conclusions were made based on the review of the scientific literature and the existing approaches were studied and analyzed on the example of Georgia.

To check the hypothesis, a quantitative research method, a questionnaire survey technique, was selected. The participants in the study were selected from the employees of the companies operating in the financial market of Georgia, whose work is affected by the arrangement of the workspace.

The results of the research confirmed the hypothesis according to which the arrangement of the workspace affects the quality of the employee's work and motivation. The persons participating in the study described all the factors that affect their work process and hinder their daily activities.

Based on the received answers, recommendations were developed, which will define issues for Georgian companies, thus it will be possible to eliminate similar problems in the organization as much as possible in the future.

Keywords: Work space, motivation, quality of work performance.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში დახმარებისთვის პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქ-ნ ანნა თანდილაშვილს, რომელიც მუდმივად მეხმარებოდა და მაძლევდა სწორ რჩევებს ნაშრომის სისრულეში მოყვანისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდი ნაშრომის რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს, რომელთა დახმარებით შევძელი საკვლევი თემის ირგვლივ ჩემეული დასკვნების გაკეთება.